დანართი №3

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
12 ივნისი, 2026
დასკვნის წარდგენის თარიღი
30 აგვისტო, 2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 13

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 15

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 23

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 30

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 33

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 41

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ფილიპ ბუილარი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი, ბელგიის სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი წანაწყენიშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბელა თინიკაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიზო უჩაიძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სამოქალაქო ინჟინერია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Civil Engineering
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში (BSc in Civil Engineering)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	N/A
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	არ ეხება
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	არ ეხება

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამოქალაქო ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია. პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელია (240 ECTS კრედიტი) და 8 აკადემიურ სემესტრზეა გადანაწილებული. პროგრამა შემუშავებულია არსებული ქართულენოვანი პროგრამის საფუძველზე და ითვალისწინებს საქართველოში სამშენებლო სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს.

პროგრამის მიზანია „აკადემიური და თანამედროვე სწავლების უზრუნველყოფა, შესაბამისი კვლევის მეთოდების ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე ორიენტირებული, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც მარტივად შეძლებენ ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადაპტირებას და გახდებიან ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ლიბერალური ღირებულებების მატარებლები“.

პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუები ჩაატარა:

- რექტორთან, ვიცე-რექტორებთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან;
- თვითშეფასების ჯგუფთან;
- მომიჯნავე პროგრამის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- პროგრამის ხელმძღვანელთან;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- დამსაქმებლებთან.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა და შეაფასა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია პირველი სტანდარტის („საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“) მოთხოვნებთან. პროგრამას გააჩნია ნათელი და რელევანტური მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შეფასების მექანიზმი, ასევე, პროგრამისა და სასწავლო კურსების სტრუქტურა და შინაარსი.

პროგრამა ასევე მეტწილად შესაბამისობაშია მეორე სტანდარტის („სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“) მოთხოვნებთან. პროგრამაში განსაზღვრულია დაშვების შესაბამისი წინაპირობები, პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება, აგრეთვე, სწავლებისა და შეფასების სათანადო მეთოდები.

პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მესამე სტანდარტის („სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა“) მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სტუდენტთა სათანადო კონსულტირებასა და მხარდამჭერ სერვისებს.

პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტის („სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“) მოთხოვნებთან. დაწესებულებაში შექმნილია პროფესიული განვითარების სათანადო შესაძლებლობები, ხელმისაწვდომია კარგი მატერიალური რესურსები და უზრუნველყოფილია პროგრამის ფინანსური მდგრადობა. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი შეშფოთებას გამოთქვამს 4.1 - კომპონენტთან მიმართებით („ადამიანური რესურსები“), რომლის მოთხოვნებთანაც ბსუ მხოლოდ ნაწილობრივ შესაბამისობაშია. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალს გააჩნია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კვალიფიკაცია, მნიშვნელოვანი კითხვები არსებობს თუ რამდენად შეუძლიათ კურსების ინგლისურ ენაზე სწავლება.

პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მეხუთე სტანდარტის („სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები“) მოთხოვნებთან. დანერგილია პროგრამის შიდა და გარე ხარისხის შეფასების, მისი მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმები.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, განისაზღვროს სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის ერთიანი ვერსია და ნათლად გამოიკვეთოს პროგრამის განმასხვავებელი მახასიათებლები.
2. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და თავად პროგრამა მეტად თანმიმდევრული იყოს - მიზნების შესაბამისობაში მოყვანით პროგრამის შინაარსთან ან პროგრამის გაუმჯობესებით იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს თითოეული მიზნის მიღწევა.
3. რეკომენდებულია, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების ფარგლებში უკუკავშირი შეგროვდეს კონკრეტულად პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და არა მხოლოდ ზოგადი კმაყოფილების კვლევის მეშვეობით.
4. რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების ცხრილის სათანადო მონიტორინგი და შემოწმდეს, სხვა სასწავლო კურსებშიც გამოიყენება თუ არა მსგავსი ფორმატები.
5. რეკომენდებულია, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და აღნიშნული ნიშნულების შედარება აისახოს შეფასების პროცედურაში.
6. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებიდან „ესთეტიკური“ ასპექტის ამოღება, ვინაიდან იგი მხოლოდ ერთხელ, 2-საათიან სემინართან მიმართებითაა ნახსენები, ან გაძლიერდეს შესაბამისი სასწავლო აქტივობები.
7. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებიდან „ინოვაციის“ ასპექტის ამოღება, ვინაიდან იგი მხოლოდ ნაწილობრივ არის ასახული საკურსო პროექტში და პროგრამის სხვა კომპონენტებში, კვლევითი მიმართულებით სწავლება ნათლად არ იკვეთება, ან აღნიშნულ ასპექტთან დაკავშირებით, თანმიმდევრული და მკაფიო სასწავლო აქტივობების შეთავაზება.
8. რეკომენდებულია, თითოეულ სილაბუსში ნათლად იყოს ნაჩვენები სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან.
9. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის თანმიმდევრულობის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ხელახლა შემუშავდეს შესაბამისობის რუკა (დანართი 1.1.10).
10. რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობა.
11. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ორივე (ქართული და ინგლისური) ვერსიაში ნათლად მიეთითოს, რომ სწავლების ენა არის „ინგლისური“, ხოლო დაშვების წინაპირობაა „ინგლისური ენის“ და არა „უცხო ენის“ ცოდნა.

12. რეკომენდებულია, არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან, სტაჟირება გადატანილი იქნას სავალდებულო საგნების ჩამონათვალში, რომ თითოეულ სტუდენტს განუვითარდეს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები.
13. რეკომენდებულია, კვლევითი სწავლების გაძლიერება, შესაბამისი აქტივობების გამოყენებით (ლიტერატურის მოძიება და ციტირება, კვლევითი პროექტის ჩამოყალიბება და შედეგების კრიტიკული ანალიზი).
14. რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს აქტიური და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობები, სასწავლო პროცესში სტუდენტების ჩართულობის მიზნით.
15. რეკომენდებულია, შემუშავდეს და პროგრამას დაემატოს გუნდური მუშაობის სასწავლო აქტივობები ინტეგრაციული პროექტების სახით, ასევე, ჩაერთონ განათლების მეცნიერებების მიმართულებით კვლევებში, რომ განისაზღვროს აღნიშნული პროექტების ხელმძღვანელობის და შეფასების საუკეთესო გზები.
16. რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება, რომ სწავლება-სწავლის ან შეფასების მეთოდების გამოყენებისას გათვალისწინებული იქნას სტუდენტთა კულტურული და/ან სხვა საჭიროებები.
17. რეკომენდებულია, პროგრამის საერთაშორისო კომპონენტის გათვალისწინებით, შემუშავდეს საერთაშორისო სტუდენტების მიღების და მხარდაჭერის ინსტიტუციური მექანიზმები, ასევე, უზრუნველყოფილ იქნას ყველა შესაბამისი პოლიტიკის, რეგულაციის და სტუდენტებისთვის განკუთვნილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ინგლისურ ენაზე.
18. რეკომენდებულია, შემუშავდეს პერსონალის კვლევითი პორტფოლიოს გაზრდის და მხარდაჭერის ადეკვატური პოლიტიკა.
19. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალისთვის განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური დონე (C1 დონე, ენების სწავლების ევროპული საერთო კომპეტენციების ჩარჩოს შესაბამისად) და შემუშავდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რეკრუტირების გეგმა, ინგლისური ენის მცოდნე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის და სასწავლო პროცესის მდგრადობის მიზნით.
20. რეკომენდებულია, პერსონალის დატვირთვაში მკაფიოდ აისახოს სტუდენტთა საკონსულტაციო საათები.
21. რეკომენდებულია, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის დახმარების გაწევა კონკურენტული საგრანტო განაცხადების მომზადებაში და საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით პროექტებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართულობა თანამშრომლებისთვის უფრო თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი გახადოს.
22. რეკომენდებულია, უნივერსიტეტში გაძლიერდეს ხარისხის კულტურა დაინტერესებულ მხარეებთან არსებული მექანიზმების გაზიარებით და არსებული წესების სრულად დანერგვით, რაც ხელს შეუწყობს თვითშეფასების პროცესში გამოწვევების გამოვლენასა და პრევენციას.

- **რჩევები**

1. სასურველია, სამომავლოდ, ანგარიშებში უფრო ნათლად იყოს მითითებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია, მიზნები და სტრატეგიული გეგმები, რათა მათთან პროგრამის შესაბამისობა უკეთ წარმოჩინდეს.
2. სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგი №4 და დაზუსტდეს, რა კონტექსტში უნდა ფორმულირდეს საინჟინრო შეფასებები და დასკვნები.

3. სასურველია, პირდაპირი შეფასების არსებული მეთოდი გაუმჯობესდეს და შემოწმების პროცესში სასწავლო კურსის ნაცვლად გათვალისწინებული იყოს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების დონე.
4. სასურველია, ინგლისურენოვან ვერსიაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს როგორც - Bachelor of Engineering (BEng), ნაცვლად ფორმულირებისა Bachelor of Science in Engineering (BSc).
5. სასურველია, ინკლუზიური ენის გამოყენება, რათა სტუდენტი არ მოიხსენიებოდეს მხოლოდ მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელით „he/ის“. უმჯობესია ნეიტრალური ნაცვალსახელის „they/ის“ გამოყენება.
6. სასურველია, გადაიხედოს და გამარტივდეს საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სწავლების მეთოდების ჩამონათვალი, რომ აისახოს რეალურად გამოყენებული სწავლების მეთოდები და უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა კურსის სილაბუსის კატეგორიებთან;
7. სასურველია, დაკონკრეტდეს ლიტერატურის და სხვა წყაროების ჩამონათვალი და მკაფიოდ მიეთითოს, თუ რომელი ნაწილების (გვერდები) გაცნობაა გათვალისწინებული თითოეულ ლექციაზე ან კონკრეტული თემის ფარგლებში;
8. სასურველია, კურსის კოორდინატორებმა რეგულარულად განაახლონ თავიანთ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალი (სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა), დარგის უახლესი კვლევების გათვალისწინების მიზნით.
9. სასურველია, გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებულ ცხრილებს „სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სასწავლო კურსების მიხედვით“ და „ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ “ შორის.
10. სასურველია, მეტი ყურადღება გამახვილდეს საგანმანათლებლო პროცესისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ვენტილაციაზე და უზრუნველყოფილ იქნას არსებული კლიმატური ფაქტორებით გამოწვეული მომატებული ტენიანობისგან დაცვა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი) - 30; დარგობრივი მიმართულებით, დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები - 18; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა - 16/14 (1.14); აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა - 15/16 (0.94);

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) - 101; საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები - 16; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები - 12, 27; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 8;

    აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.); - პროგრამა ახალია და მონაცემები ჯერ არ არსებობს.

    ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა;

სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით; პროგრამა ახალია და მონაცემები ჯერ არ არსებობს.

აკადემიური პერსონალის რაოდენობა 16 (6 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 0 ასისტენტი).

აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა 15 (6 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 0 ასისტენტი).

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[4]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[5]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**16**	**10**	**10**	**15**
- პროფესორი	6			6
- ასოცირებული პროფესორი	7			6
- ასისტენტ-პროფესორი	3			3
- ასისტენტი	-			-
მოწვეული პერსონალი	14	8	3	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი	-	-	-	-

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[6]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**
  - ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღებით შეისწავლა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (BSU) პასუხი დასკვნის პროექტის თაობაზე და მადლობას უხდის უნივერსიტეტს უკუკავშირისთვის. ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს სინანულს იმის გამო, რომ პასუხები, როგორც ჩანს, ძირითადად მხოლოდ რეკომენდაციებზე მომზადდა, შესაბამისი არგუმენტების სათანადო გათვალისწინების გარეშე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (BSU) პასუხების უმეტესობა უკვე განხილული და დასაბუთებული იყო აკრედიტაციის დასკვნის პროექტში. ექსპერტთა ჯგუფს სურს ნათლად განმარტოს,

[4] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[5] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

[6] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

რომ მათი რეკომენდაციები მიზნად არ ისახავს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული და პედაგოგიური გამოცდილების ან ექსპერტიზის ეჭვქვეშ დაყენებას. რეკომენდაციები წარმოადგენს მოწოდებულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზის შედეგებს და მათი მიზანია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის დახმარება შემდგომ განვითარებაში. ხარისხი არის პროცესი, ხოლო ყველა რეკომენდაციასთან შეუთანხმებლობის პოზიცია გარკვეულ კითხვებს წარმოშობს ხარისხის კულტურასა და PDCA ციკლების განხორციელების მზაობასთან დაკავშირებით, როგორც ეს 23-ე რეკომენდაციაშია აღნიშნული. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მოხარულია, რომ განიხილავს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკუკავშირს და ქვემოთ დამატებით განმარტავს რეკომენდაციებს.

- რეკომენდაცია 1: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პასუხში, როგორც ჩანს, არის გაურკვევლობა მიზნებსა და ამოცანებს შორის. ორივე მათგანი გაანალიზებული და დაკომენტარებულია აკრედიტაციის დასკვნაში, და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეძლევა რეკომენდაცია, განიხილოს ისინი ცალ-ცალკე. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს თავის პირველად ანალიზს მიზანთან დაკავშირებით.
- რეკომენდაცია 2: იხილეთ 1.4 კომპონენტი, რომელიც განმარტავს გარკვეულ შეუსაბამობას პროგრამის მიზნებსა და შინაარსს შორის. კონკრეტულად, მე-2 მიზანი (ესთეტიკური და ინოვაციური მეთოდების არასაკმარისი მოცვა) და მე-3 მიზანთან (მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის მოსამზადებლად არასაკმარისი უზრუნველყოფა) მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რეკომენდაციას.
- რეკომენდაცია 3: ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რეკომენდაციას, ვინაიდან დანართი 5.3.2 ორიენტირებულია სასწავლო კურსების შესაბამისობაზე სილაბუსებსა და კურსის სწავლის შედეგებს შორის. რეკომენდაცია ასევე ეხება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უკუკავშირის შეგროვებას.
- რეკომენდაცია 4: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (BSU) პასუხი არ ეხება რეკომენდაციას, რომელიც ფოკუსირებულია პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდზე, როგორც ეს აღწერილია 1.1.10 დანართში. დანართი მიუთითებს, რომ აღნიშნული შეფასება გაკეთებულია სასწავლო კურსების მხოლოდ მცირე შერჩევისთვის. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს აღნიშნული მიდგომის გამოყენებას ყველაა სასწავლო კურსში.
- რეკომენდაცია 5: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტები ითვალისწინებს თითოეული პროგრამის სწავლის შედეგისთვის ბენჩმარკების განსაზღვრას. აღნიშნული მოთხოვნა არ არის ასახული 25-ე გვერდზე მოცემულ ცხრილში (დანართი 1.1.10), სადაც სამიზნე ნიშნებია განსაზღვრული, რაც განსხვავდება პროგრამის სწავლის შედეგებისთვის ბენჩმარკების დადგენისგან.
- რეკომენდაცია 6: ექსპერტთა ჯგუფმა ხაზგასმით აღნიშნა არსებული შეუსაბამობა ესთეტიკურ მომზადებასთან დაკავშირებულ მიზნებსა და მის არასაკმარის დაფარვას შორის. თუკი, როგორც პასუხშია ნაგულისხმები, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ ეს სამოქალაქო ინჟინერიის მომზადების მნიშვნელოვანი ნაწილია, მაშინ რეკომენდაცია უნდა განიმარტოს შესაბამისი სასწავლო აქტივობების გაძლიერების მნიშვნელობით (რაც არ შემოიფარგლება მხოლოდ 2-საათიანი სემინარით).
- რეკომენდაცია 7: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს და სრულად ეთანხმება მოწოდებულ პასუხს. თუმცა, როგორც დასკვნის პროექტშია აღნიშნული, თავად სიტყვა „ინოვაცია“ საერთოდ არ არის განხილული სასწავლო კურსების სილაბუსებში (კეპსტონის პროექტში მოკლე ხსენების გარდა) და, თუკი იგი წარმოადგენს სწავლის მიზანს,

საჭიროა მისი მკაფიოდ სწავლება და შეფასება, რაც ამჟამად არ არის ნათლად განმარტებული. შესაბამისად, რეკომენდაცია ძალაში რჩება.

- რეკომენდაცია 8: სასწავლო კურსების დასახელებების დაკავშირება პროგრამის სწავლის შედეგებთან წარმოადგენს კარგ შემაჯამებელ ცხრილს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ არის მთლიანობაში მოცული პროგრამის სწავლის შედეგები. თუმცა, აღნიშნული არასაკმარისია კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რაც წარმოადგენს მოთხოვნას. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რეკომენდაციას.
- რეკომენდაცია 9: როგორც აკრედიტაციის დასკვნაშია აღნიშნული, ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ ის არ უწყობს ხელს შემოთავაზებულ შესაბამისობის ცხრილში მითითებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს განახორციელოს აღნიშნული დეტალური ანალიზი და ადასტურებს რეკომენდაციას.
- რეკომენდაცია 10: ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე სილაბუსი, სადაც სწავლის მიზნებს, მეთოდებსა და შეფასებას შორის შესაბამისობა არ იყო თავისთავად ცხადი. რეკომენდაცია არ ეხებოდა დამატებითი მატრიცის წარმოდგენას, არამედ აღნიშნული შესაბამისობის რეალურად ეფექტურობის უზრუნველყოფას, რაც მნიშვნელოვანია. რეკომენდაციის ფორმულირება მცირედ შეიცვალა.
- რეკომენდაცია 11: ექსპერტთა ჯგუფი მოხარულია, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა, თუმცა, წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ამ ეტაპზე ვერ შეძლებს რეკომენდაციის ამოღებას.
- რეკომენდაცია 13: ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რეკომენდაციას, ვინაიდან კვლევასთან დაკავშირებული აქტივობები (ლიტერატურის ძიება და ციტირება, კვლევითი პროექტის ფორმირება და შედეგების კრიტიკული ანალიზი) არასაკმარისად არის მოცული პროგრამით ან მკაფიოდ ასახული სასწავლო აქტივობებში (საკომუნიკაციო კურსისა და კეპსტონის პროექტის მიღმა).
- რეკომენდაცია 14: მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობებისკენ მიმართული რამდენიმე პოზიტიური ინიციატივა არსებობს, სწავლების მეთოდები მეტწილად ტრადიციული (ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიები) რჩება. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რეკომენდაციას და მოუწოდებს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს (BSU) სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების შემდგომი გაღრმავებისკენ.
- რეკომენდაცია 15: წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი გახდა, რომ საინჟინრო კურსებში გუნდური პროექტები არ არის დანერგილი, ვინაიდან ეს ხელს შეუშლიდა ინდივიდუალურ შეფასებას, არსებობს მხოლოდ ერთი პროექტი არასაინჟინრო კურსში (კომუნიკაცია). ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ აღნიშნული არ არის საკმარისი თანამედროვე საინჟინრო მომზადებისთვის და უფრო მეტი პროექტის, მათ შორის ინტეგრაციული და ინტერდისციპლინური, შემუშავების საჭიროება კვლავ ძალაში რჩება.
- რეკომენდაცია 16: ექსპერტთა ჯგუფი ეჭვქვეშ არ აყენებს პერსონალის პროფესიულ ან პედაგოგიურ გამოცდილებას. ინტერკულტურული სწავლება არის გამოწვევა, რომლის სათანადოდ შეუფასებლობაც დაუშვებელია და, წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ბუნდოვანია, გატარდა თუ არა კონკრეტული ზომები ან ინიციატივები ამ საკითხის გადასაჭრელად. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რეკომენდაციას.
- რეკომენდაცია 17: წარმოდგენილი განმარტების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი თანახმაა ამოიღოს აღნიშნული რეკომენდაცია.

- რეკომენდაცია 18: მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ნამდვილად აქვს საერთაშორისო პროგრამების მართვის გამოცდილება, ეს პროცესი ჯერ კიდევ განვითარებად ფაზაშია და ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს უნივერსიტეტს, გააგრძელოს ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება, კერძოდ, მთელი ინფორმაციის ინგლისურ ენაზე მიწოდების გზით, რაც (წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით) ამჟამად ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რეკომენდაციას.
- რეკომენდაცია 19: ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა პერსონალის პორტფოლიოს დიდი მრავალფეროვნება. როგორც პასუხებშია აღნიშნული, არიან ძალიან აქტიური მკვლევარები, თუმცა ასევე არის შემთხვევები, რომლებიც დამატებით სტიმულირებას საჭიროებს. რეკომენდაცია მიზნად ისახავს მთლიანი პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას და ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს მას.
- რეკომენდაცია 20: პერსონალთან ინტერვიუს დროს ძალიან ნათლად გამოჩნდა, რომ ინგლისურ ენაზე კურსების წასაკითხად საჭირო მინიმალური დონე არ იყო მიღწეული, რაც თავად მათ მიერაც იქნა აღიარებული. აღნიშნული რეკომენდაცია უაღრესად მნიშვნელოვანია პროგრამის წარმატებისთვის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ყურადღებით უნდა იქნას განხილული.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	აირჩიეთ შესაბამისი
1.1	პროგრამის მიზნები	მეტწილად შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	აირჩიეთ შესაბამისი
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	მეტწილად შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	მეტწილად შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	აირჩიეთ შესაბამისი
4.1	ადამიანური რესურსი	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	აირჩიეთ შესაბამისი
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზანია „აკადემიური და თანამედროვე სწავლების უზრუნველყოფა, შესაბამისი კვლევის მეთოდების ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე ორიენტირებული, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც მარტივად შეძლებენ ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადაპტირებას და გახდებიან ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ლიბერალური ღირებულებების მატარებლები“. (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 4). აღნიშნული თვითშეფასების ანგარიშის მე-6 გვერდზე მცირედით განსხვავებული ფორმულირებით არის წარმოდგენილი. თუმცაღა, ორივე ვერსია ჰოლისტურია და ზოგად აკადემიურ მიზნებს ასახავს, რომლებიც მრავალი სამეცნიერო სფეროსთვის შეიძლება იყოს რელევანტური. ამასთან, ინტერნაციონალიზაციასთან მიმართებით, ისინი შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ გეგმასთან, თუმცა ეს თვითშეფასების ანგარიშში სათანადოდ არ არის წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, რეკომენდებულია, განისაზღვროს სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის ერთიანი ვერსია და ნათლად გამოიკვეთოს პროგრამის განმასხვავებელი მახასიათებლები.

პროგრამის სამი მიზანი მოიცავს: (i) თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას სამოქალაქო ინჟინერიასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში; (ii) შენობა-ნაგებობების დაპროექტების, სამშენებლო მოწყობილობების გამოყენებისა და მართვისთვის საჭირო პრაქტიკული უნარების გამომუშავებას; (iii) ამ დარგში, უწყვეტი განათლების საჭიროების გაცნობიერებას.

აღნიშნული სამი მიზანი ძალიან კარგად არის ჩამოყალიბებული და ნათლად წარმოაჩენს პროგრამის ამოცანებს. თუმცაღა, მათი ზოგიერთი ასპექტი პროგრამაში ნათლად არ იკვეთება, რაც განხილული იქნება 1.4 კომპონენტში. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და თავად პროგრამა მეტად თანმიმდევრული იყოს - მიზნების შესაბამისობაში მოყვანით პროგრამის შინაარსთან ან პროგრამის გაუმჯობესებით იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს თითოეული მიზნის მიღწევა.

როგორც პროგრამის ზოგადი, ისე სამი კონკრეტული მიზანი ერთობლიობაში ნათლად წარმოაჩენს პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზს, რომელიც აჩვენებს, რომ არსებობს საჭიროება ინგლისურენოვანი განათლების მქონე სამოქალაქო ინჟინრებზე, საერთაშორისო პროექტებზე სამუშაოდ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში. 3-7 გვერდები.
- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები:
  - რექტორთან, ვიცე-რექტორებთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან;
  - თვითშეფასების ჯგუფთან;
  - მომიჯნავე პროგრამის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან;
  - პროგრამის ხელმძღვანელთან;
  - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
  - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
  - დამსაქმებლებთან.
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია.
- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია, განისაზღვროს სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის ერთიანი ვერსია და ნათლად გამოიკვეთოს პროგრამის განმასხვავებელი მახასიათებლები.
- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და თავად პროგრამა მეტად თანმიმდევრული იყოს - მიზნების შესაბამისობაში მოყვანით პროგრამის შინაარსთან ან პროგრამის გაუმჯობესებით იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს თითოეული მიზნის მიღწევა.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, სამომავლოდ, ანგარიშებში უფრო ნათლად იყოს მითითებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია, მიზნები და სტრატეგიული გეგმები, რათა მათთან პროგრამის შესაბამისობა უკეთ წარმოჩინდეს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	მეტწილად შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის 7 შედეგი. ისინი, ზოგადად, შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, კარგად არის ჩამოყალიბებული და მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის სწავლებისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრისთვის. სათანადო ყურადღება ეთმობა საბაკალავრო საფეხურზე მისაღწევი სწავლის შედეგების დონის ნათლად განსაზღვრას, მაგალითად, ექსპერიმენტის დაგეგმვასა და ჩატარებას „წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად“. პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ასევე, სათანადოდ არის გათვალისწინებული ეთიკური, შრომითი და უსაფრთხოების ნორმებიც. პროგრამა ასევე მოიცავს საინჟინრო განათლებისთვის არსებითად მნიშვნელოვან, ტრანსფერულ კომპეტენციებს, მათ შორის კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარებს.

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულ საკითხზე შეზღუდული ინფორმაციაა წარმოდგენილი, პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად შეესაბამება საბაკალავრო პროგრამებისთვის განსაზღვრულ ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეს და ითვალისწინებს სწავლის სფეროს თავისებურებებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. თუმცა, პროგრამის სწავლის ერთ-ერთი შედეგი, კერძოდ, სწავლის შედეგი №4, კონტექსტის გათვალისწინებით, გარკვეულწილად ბუნდოვანია. სასურველია, მისი გაუმჯობესება და დაზუსტება, თუ რა კონტექსტში უნდა ჩამოყალიბდეს საინჟინრო შეფასებები და დასკვნები.

პროგრამის სწავლის შედეგები სათანადოდ აღწერს ცოდნას, უნარებსა და ავტონომიურობის ხარისხს, რომლებსაც სტუდენტები პროგრამის დასრულების შედეგად შეიძენენ. აღნიშნული შედეგები კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას მისცემს, შესაბამის პროფესიულ სფეროში დასაქმდნენ ან სწავლა საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამაზე განაგრძონ. პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობითა და ABET - ის ექსპერტთა მხარდაჭერით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 7-8.
- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებები
    - თვითშეფასების ჯგუფთან;
    - პროგრამის ხელმძღვანელთან;
    - დამსაქმებლებთან.
- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1.1.10).

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგი №4 და დაზუსტდეს, რა კონტექსტში უნდა ფორმულირდეს საინჟინრო შეფასებები და დასკვნები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ნათელი და სათანადო მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები ითვალისწინებს მონაცემების შეგროვებას, მათ შორის გამოცდებისა და შეფასებების ანალიზს, აგრეთვე სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს, რაც ძალიან დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფს გამოკითხვების გაცნობის შესაძლებლობა არ ჰქონდა, მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხვები მოიცავდეს უშუალოდ პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ კითხვებს და არ შემოიფარგლებოდეს პროგრამის შესახებ ზოგადი კითხვებით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების შესაბამისად, ასევე მნიშვნელოვანია, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და შეფასების პროცედურა მოიცავდეს მიღებული შედეგების შედარებას აღნიშნულ ნიშნულებთან.

თვითშეფასების ანგარიშში ასევე აღნიშნულია (გვ. 8-9), რომ შეფასების მეთოდების ადეკვატურობა განისაზღვრება სწავლის შედეგების რუკის საფუძველზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. დანართში 1.1.10 წარმოდგენილია ამგვარი პირდაპირი შეფასების რამდენიმე ნათელი და სათანადო ნიმუში (გვ. 11). რეკომენდებულია, განხორციელდეს აღნიშნული ცხრილის სათანადო მონიტორინგი და შემოწმდეს, სხვა სასწავლო კურსებშიც გამოიყენება თუ არა მსგავსი ფორმატები. იდეალურ შემთხვევაში, შესაფასებლად შერჩეული ნიმუშები პერიოდულად უნდა შეიცვალოს და სასწავლო კურსების სრული ჩამონათვალიდან, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, უნდა განისაზღვროს.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების პირდაპირი მეთოდი დადებითად უნდა შეფასდეს, ამჟამად, იგი ეფუძნება სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას. თუმცა, შემოწმება უმჯობესია განხორციელდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგის დონეზე და არა მთლიანად კურსის დონეზე. სასურველია, შეფასების მეთოდი გაუმჯობესდეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების დონეზე.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შემუშავების პროცესს და აქტიურად აცნობს დაინტერესებულ მხარეებს. თუმცა, არ არის ნათელი, რამდენად სრულყოფილად იცნობს პერსონალი სწავლის შედეგების შეფასების შესაბამის მეთოდებს, მიუხედავად იმისა, რომ ბსუ ამ მიმართულებით მათ ტრენინგებსა და მხარდაჭერის შესაძლებლობებს სთავაზობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 3-7.

- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებები
    - თვითშეფასების ჯგუფთან;
    - პროგრამის ხელმძღვანელთან;
    - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
    - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1.1.10).
- კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების ფარგლებში უკუკავშირი შეგროვდეს კონკრეტულად პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და არა მხოლოდ ზოგადი კმაყოფილების კვლევის მეშვეობით.
- რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების ცხრილის სათანადო მონიტორინგი და შემოწმდეს, სხვა სასწავლო კურსებშიც გამოიყენება თუ არა მსგავსი ფორმატები.
- რეკომენდებულია, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და აღნიშნული ნიშნულების შედარება აისახოს შეფასების პროცედურაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პირდაპირი შეფასების არსებული მეთოდი გაუმჯობესდეს და შემოწმების პროცესში, სასწავლო კურსის ნაცვლად, გათვალისწინებული იყოს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების დონე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია ბსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების პროცედურის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას. თუმცა, ვინაიდან ეს 4-წლიანი პროგრამაა (240 ECTS კრედიტი), რომელიც ნაკლებად მოიცავს კვლევითი მიმართულებით სწავლებას

და საკურსო პროექტიც მცირე მოცულობისაა, საერთაშორისო კონტექსტში მეტად შესაფერისი იქნებოდა მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრა როგორც ინჟინერიის ბაკალავრისა - Bachelor of Engineering (BEng), ნაცვლად მეცნიერებათა ბაკალავრისა ინჟინერიაში - Bachelor of Science in Engineering (BSc). სასურველია, ინგლისურენოვან კომუნიკაციაში გამოყენებული იყოს აღნიშნული დასახელება. პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და თავსებადია ECTS სისტემასთან. იგი ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და უზრუნველყოფს თანმიმდევრულ და ხარისხიან სასწავლო პროცესს. პროგრამა ფართოდ ფარავს შესაბამის სამეცნიერო სფეროებს და მოიცავს რამდენიმე არჩევით სასწავლო კურსს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

სასწავლო კურსების სილაბუსების დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები №1-5 სათანადოდ არის ასახული და მიიღწევა მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებით. თუმცა, პროგრამის ქვემოთ მოცემული სწავლის შედეგების მისაღწევად, დაგეგმილი სასწავლო აქტივობები და შეფასების მეთოდები არ არის საკმარისი:

- **პროგრამის სწავლის შედეგი №6:** „მონაწილეობს ინტერდისციპლინურ გუნდურ მუშაობაში და გუნდის წევრებთან ერთად ქმნის თანამშრომლობით გარემოს დასახული ამოცანების შესასრულებლად“. პირველ რიგში, სასურველია, ინკლუზიური ენის გამოყენება და სტუდენტი მხოლოდ მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელით „he/ის“ არ იყოს მოიხსენიებული. უმჯობესია ნეიტრალური ნაცვალსახელის „they/ის“ გამოყენება. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობები ნათლად მხოლოდ არასაინჟინრო, ზოგად არჩევით სასწავლო კურსებშია გათვალისწინებული, კერძოდ: ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, დემოკრატიასა და მოქალაქეობაში, ასევე, საქართველოს ისტორიასა და კულტურაში. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამა ძირითადად ინდივიდუალური საინჟინრო დავალებების შესრულებაზეა ორიენტირებული, რაც აშკარა წინააღმდეგობაშია პროგრამის მე-6 სწავლის შედეგთან.

- **პროგრამის სწავლის შედეგი №7:** „გეგმავს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, განსაზღვრავს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს და აღნიშნულს ახორციელებს მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობით“. ეს შესანიშნავი სწავლის შედეგია, რომელიც სრულად შეესაბამება მიზან №3-ს, თუმცა ამჟამად, მასთან დაკავშირებული სასწავლო აქტივობები ან შეფასების მეთოდები არ არის განსაზღვრული. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სასწავლო კურსების გავლის პროცესში აღნიშნული კომპეტენცია იმპლიციტურად განვითარდება, რაც რეალისტური არ არის. პირიქით, ამ სწავლის შედეგის მისაღწევად პროგრამა სტუდენტისგან ნათლად უნდა მოითხოვდეს საკუთარი სასწავლო საჭიროებების განსაზღვრისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავების უნარის გამომუშავებას. აღნიშნული საუკეთესოდ მიიღწევა პორტფოლიოს ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც, როგორც წესი, ინტეგრირებულ პროექტებთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაშიც, რეკომენდებულია, განათლების მეცნიერებებში არსებული კვლევების გათვალისწინება.

გარდა ამისა, გარკვეული შეუსაბამობა იკვეთება პროგრამის მიზნების ცალკეულ ელემენტებთან მიმართებით:

- **მიზანი №2:** სტუდენტებმა უნდა გაითვალისწინონ ესთეტიური და ინოვაციური მეთოდები. თუმცა, პირველი ასპექტი - „ესთეტიური“ - მხოლოდ ერთხელ, 2-საათიან სემინარშია ნახსენები, ხოლო მეორე ასპექტი - „ინოვაცია“ - მხოლოდ საკურსო პროექტშია წარმოდგენილი. მოწოდებული დოკუმენტებიდან (თვითშეფასების ანგარიშიდან და პროგრამიდან), აგრეთვე, აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან ნათლად სჩანს, რომ კვლევასა და ინოვაციას ნაკლები ყურადღება ეთმობა. თავად საკურსო პროექტიც არ მოიცავს მკაფიო

კვლევით ან ინოვაციურ კომპონენტს, რადგან ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგი მხოლოდ „ანალიზსა“ ან „გამოყენებას“ ახსენებს. ორივე ასპექტი ან უფრო სრულყოფილად უნდა აისახოს პროგრამაში, ან ამოღებული უნდა იყოს მიზნებიდან.

- **მიზანი №3:** ფორმულირება „იცავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპს“ ავლენს იმავე შეუსაბამობას, რაც პროგრამის მეშვიდე სწავლის შედეგთან მიმართებით გამოიკვეთა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 11-12.
- ბსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დანართი 1.4.1.).
- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებები
    - თვითშეფასების ჯგუფთან;
    - სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (შესაბამისი პროგრამის)
    - პროგრამის ხელმძღვანელთან;
    - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
    - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
    - დამსაქმებლების
- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1.1.10).
- კურსების სილაბუსები

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებიდან „ესთეტიკური“ ასპექტის ამოღება, ვინაიდან იგი მხოლოდ ერთხელ, 2-საათიან სემინართან მიმართებითაა ნახსენები, ან გაძლიერდეს შესაბამისი სასწავლო აქტივობები.
- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებიდან „ინოვაციის“ ასპექტის ამოღება, ვინაიდან იგი მხოლოდ ნაწილობრივ არის ასახული საკურსო პროექტში და პროგრამის სხვა კომპონენტებში, კვლევითი მიმართულებით სწავლება ნათლად არ იკვეთება, ან აღნიშნულ ასპექტთან დაკავშირებით, თანმიმდევრული და მკაფიო სასწავლო აქტივობების შეთავაზება.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, ინგლისურენოვან ვერსიაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს როგორც - Bachelor of Engineering (BEng), ნაცვლად ფორმულირებისა Bachelor of Science in Engineering (BSc).
- სასურველია, ინკლუზიური ენის გამოყენება, რათა სტუდენტი არ მოიხსენიებოდეს მხოლოდ მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელით „he/ის“. უმჯობესია ნეიტრალური ნაცვალსახელის „they/ის“ გამოყენება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის პაკეტი მოიცავს ყველა სასწავლო კურსის სილაბუსს. სილაბუსები დიდი სიზუსტით არის შედგენილი და მათში სრულყოფილადაა წარმოდგენილი ყველა საჭირო ინფორმაცია. ახალი პროგრამისთვის ეს საკმაოდ უჩვეულოა და მაღალ შეფასებას იმსახურებს. სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა, ზოგადად, შეესაბამება სტუდენტის სასწავლო დატვირთვას. თუმცა, სასურველია, შემუშავდეს მონიტორინგის პროცედურა, რომელიც რეგულარულად შეაფასებს სტუდენტთა სასწავლო დატვირთვას. სილაბუსებში, მთლიანობაში, იკვეთება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების, სასწავლო აქტივობებისა და შეფასების მეთოდების ურთიერთშესაბამისობა.

დანართის 1.1.10 მე-8 გვერდზე წარმოდგენილი შესაბამისობის რუკა სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის ფასეულ ზოგად მიმოხილვას იძლევა, თუმცა თითოეულ სილაბუსში სასწავლო კურსის სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებთან უნდა იყოს დაკავშირებული. აღნიშნული ეტაპი გამოტოვებულია და რეკომენდებულია, მისი განხორციელება. ამ მიდგომის გამოყენებით ნათელი გახდება, რომ შესაბამისობის არსებული რუკა ზოგიერთ შემთხვევაში შეცდომაში შემყვანია. რუკის თანახმად, ზოგიერთი სასწავლო კურსი ხელს უწყობს პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგების, განსაკუთრებით №6 და №7 შედეგების მიღწევას, თუმცა ეს შესაბამისი სილაბუსებით არ დასტურდება, რადგან მათში ამ შედეგებთან დაკავშირებული სასწავლო აქტივობები ან შეფასების მეთოდები არ არის გათვალისწინებული. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე თავიდან შემუშავდეს შესაბამისობის რუკა. ამასთან, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების ურთიერთშესაბამისობა.

სილაბუსებში არის წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურა, ასევე, სწავლებისა და სწავლის სხვა რესურსები. ისინი, ზოგადად, შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს და სათანადოა სწავლის შედეგების მისაღწევად. ყურადღებას საჭიროებს მხოლოდ ის გარემოება, რომ მრავალი წყარო გარკვეულწილად მოძველებულია. სასურველია, სასწავლო კურსების კოორდინატორების წახალისება, რომ რეგულარულად განაახლონ გამოყენებული წყაროები, დარგის უახლესი კვლევების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 12-13.

- ბსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დანართი 1.4.1.).
- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები:
    - თვითშეფასების ჯგუფთან;
    - სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (შესაბამისი პროგრამის)
    - პროგრამის ხელმძღვანელთან;
    - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
    - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
    - დამსაქმებლებთან.
- კურიკულუმის კომიტეტის ოქმი;
- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1.1.10).
- კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, თითოეულ სილაბუსში ნათლად იყოს ნაჩვენები სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის თანმიმდევრულობის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ხელახლა შემუშავდეს შესაბამისობის რუკა (დანართი 1.1.10).
- რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, ეფუძნება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს და ითვალისწინებს ბსუ-ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებს.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ნათლად არის ჩამოყალიბებული (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 14). ისინი შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, განათლების საფეხურთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტების მიღებას. თუმცა, ექსპერტებმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის გარკვეული შეუსაბამობები გამოავლინეს, კერძოდ:

- პროგრამის ქართულ და ინგლისურ ვერსიებში სწავლების ენად მითითებულია ქართული, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია;
- პროგრამის ქართულ და ინგლისურ ვერსიებში დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად ბუნდოვნად არის მითითებული უცხო ენა, უშუალოდ ინგლისური ენის ნაცვლად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აპლიკანტებს აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებათ საინფორმაციო ბუკლეტების მეშვეობით, უნივერსიტეტში გამართული ღია კარის დღეების დროს, ასევე, სკოლებში განხორციელებული ვიზიტების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 14-15.
- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებები
    - პროგრამის ხელმძღვანელთან;
- საგანმანათლებლო პროგრამა.

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ორივე (ქართული და ინგლისური) ვერსიაში ნათლად მიეთითოს, რომ სწავლების ენა არის „ინგლისური“, ხოლო დაშვების წინაპირობაა „ინგლისური ენის“ და არა „უცხო ენის“ ცოდნა.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები ზოგადად შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს სტუდენტებში პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ასევე, თეორიული ცოდნის დაუფლებას. სილაბუსებში გათვალისწინებულია თეორიული სწავლების და პრაქტიკული აქტივობების თანაფარდობა სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისად, რაც აკმაყოფილებს კომპონენტის მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება შემაჯამებელი პროექტის დაცვით. აღიშნული პროექტის მეშვეობით სტუდენტი ახდენს პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების სისტემატიზაციას და გაღრმავებას. თუმცა, როგორც 1.4 კომპონენტშია აღწერილი, პროგრამის ფარგლებში, კერძოდ კი შემაჯამებელ პროექტში, არასაკმარისი ყურადღება ეთმობა კვლევითი უნარების განვითარებას. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა კვლევითი სწავლების გაძლიერება, შესაბამისი აქტივობებით (ლიტერატურის მოძიება და ციტირება, კვლევითი პროექტის ჩამოყალიბება და შედეგების კრიტიკული ანალიზი).

სასწავლო პრაქტიკის მიზანი, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა განისაზღვრება ორმხრივი შეთანხმებით. სტაჟირების კომპონენტის განხორციელების მიზნით, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამის კომპანიებთან ან ორგანიზაციებთან. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ ორგანიზაციამ უნდა დანიშნოს ხელმძღვანელი, რომელიც სტაჟირებას განახორციელებს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სტაჟირების სილაბუსის და დღიურის შესაბამისად. თუმცა, უჩვეულოა, რომ პროგრამაში სტაჟირება შეთავაზებულია მხოლოდ არჩევითი საგნის სახით. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის ქართულენოვან ვერსიაში სტაჟირება სავალდებულოა. დამსაქმებლებმა მკაფიოდ დაადასტურეს მზაობა აღნიშნული პროგრამის სტაჟირებით უზრუნველყოფის შესახებ. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ სტაჟირება გახდეს სავალდებულო და განხორციელდეს პროგრამის მოდიფიცირება, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ადმინისტრაცია მოუწოდებს სტუდენტებს აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით საქმიანობაში და ამ მიზნით აწყობს ყოველწლიურ კონკურსს სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად, რაც დადებითად ფასდება ექსპერტების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 15-16;
- ვიზიტის ფარგლებში თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1.1.10);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ინდუსტრიის პარტნიორებთან;

- სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მასალები;
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სამეცნიერო საზოგადოების დებულება;
- მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის დებულება.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან, სტაჟირება გადატანილი იქნას სავალდებულო საგნების ჩამონათვალში, რომ თითოეულ სტუდენტს განუვითარდეს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები.
- რეკომენდებულია, კვლევითი სწავლების გაძლიერება, შესაბამისი აქტივობების გამოყენებით (ლიტერატურის მოძიება და ციტირება, კვლევითი პროექტის ჩამოყალიბება და შედეგების კრიტიკული ანალიზი).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლება-სწავლის მეთოდები ზოგადად შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. თითოეულ სილაბუსში მითითებულია სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც ერთიანობაში უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს წიგნზე/ტექსტზე მუშაობას, ვიზუალურ (ლაბორატორიულ და დემონსტრაციულ) მეთოდებს, დისკუსია/დებატებს, სიტუაციური დავალების/შემთხვევის ანალიზს, პრეზენტაციას, წერით დავალებას და ა.შ. თუმცა, არჩევითი საგნების შერჩევის შესაძლებლობის გარდა, შეინიშნება, რომ პროგრამის ფარგლებში უმეტესწილად გათვალისწინებულია კლასიკური სალექციო მეცადინეობები, რაც აფერხებს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და მასზე პასუხისმგებლობის აღებას. შესაბამისად, რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს უფრო აქტიური და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობები.

გარდა ამისა, ვინაიდან საინჟინრო განათლებისთვის მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური გუნდური მუშაობა, რეკომენდებულია, შემუშავდეს და პროგრამას დაემატოს შესაბამისი სასწავლო აქტივობები ინტეგრაციული პროექტების სახით. შეფასების გაუმჯობესების და აკადემიური პერსონალის დარწმუნების მიზნით, რომ სწორედ ამგვარი აქტივობები უზრუნველყოფენ უნარების და კომპეტენციების სათანადო დონეზე განვითარებას, რეკომენდებულია, განათლების მეცნიერების მიმართულებით, კვლევებში ჩართვა, არა მხოლოდ პროდუქტის შექმნის, არამედ პროცესის ხელმძღვანელობის და შეფასების გზების განსაზღვრის მიზნით.
ასევე, სწავლების მეთოდების ჩამონათვალი (საგანმანათლებლო პროგრამა, გვ. 3-4) არ შეესაბამება სილაბუსების კატეგორიებს და შეიცავს შეუფერებელ ტერმინებს (მაგალითად, ტერმინები - ვიცი, მინდა ვიცოდე, შევისწავლე). აღნიშნული ჩამონათვალი საჭიროებს გადახედვას და გამარტივებას, რომ აისახოს რეალურად გამოყენებული სწავლების მეთოდები და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობა სილაბუსის კატეგორიებთან.
პროგრამა განხორციელდება ინგლისურ ენაზე და მიზნად ისახავს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია მტკიცებულება, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი გადამზადებულია და ინფორმირებულია, რომ სწავლება-სწავლის ან შეფასების მეთოდების დანერგვისას აუცილებელია სტუდენტების კულტურული და/ან სხვა საჭიროებების გათვალისწინება. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულება საჭიროებს გაუმჯობესებას.
როგორც უკვე აღინიშნა, სასწავლო კურსის სილაბუსები კარგად არის სტრუქტურირებული და მომზადებული. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალი ზოგადი ან ბუნდოვანია. შესაბამისად, სასურველია, სილაბუსებში დაკონკრეტდეს და მკაფიოდ მიეთითოს, თუ რომელ ნაწილებს (გვერდები) გაეცნობიან სტუდენტები თითოეულ ლექციაზე ან კონკრეტული თემის ფარგლებში. ასევე, ზოგიერთი წყარო მოძველებულია, შესაბამისად, სასურველია, ლექტორებმა რეგულარულად განაახლონ ლიტერატურის ჩამონათვალი თავიანთ სილაბუსებში (სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა), დარგის უახლესი კვლევების გათვალისწინების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 16-17;
- ვიზიტის ფარგლებში თვითშეფასების ჯგუფთან, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (მომიჯნავე პროგრამა), პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს აქტიური და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობები, სასწავლო პროცესში სტუდენტების ჩართულობის მიზნით.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს და პროგრამას დაემატოს გუნდური მუშაობის სასწავლო აქტივობები ინტეგრაციული პროექტების სახით, ასევე, ჩაერთონ განათლების მეცნიერებების მიმართულებით კვლევებში, რომ განისაზღვროს აღნიშნული პროექტების ხელმძღვანელობის და შეფასების საუკეთესო გზები.
- რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება, რომ სწავლება-სწავლის ან შეფასების მეთოდების გამოყენებისას გათვალისწინებული იქნას სტუდენტთა კულტურული და/ან სხვა საჭიროებები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გადაიხედოს და გამარტივდეს საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სწავლების მეთოდების ჩამონათვალი, რომ აისახოს რეალურად გამოყენებული სწავლების მეთოდები და უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა კურსის სილაბუსის კატეგორიებთან;
- სასურველია, დაკონკრეტდეს ლიტერატურის და სხვა წყაროების ჩამონათვალი და მკაფიოდ მიეთითოს, თუ რომელი ნაწილების (გვერდები) გაცნობაა გათვალისწინებული თითოეულ ლექციაზე ან კონკრეტული თემის ფარგლებში;
- სასურველია, კურსის კოორდინატორებმა რეგულარულად განაახლონ თავიანთ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალი (სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა), დარგის უახლესი კვლევების გათვალისწინების მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	მეტწილად შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. პროცედურები სამართლიანია, გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას, მიმდინარე შეფასებებს და შეფასების სხვა კომპონენტებს, რომლებიც შერჩეულია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რაც უზრუნველყოფს მეთოდების და კრიტერიუმების გამჭვირვალობას. თითოეული აკადემიური კურსის შეფასების კომპონენტებში და მეთოდებში გათვალისწინებულია კურსის სპეციფიკა და შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან. სტუდენტები უკუკავშირის მიზნით იღებენ საგამოცდო ნაშრომებს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს გაიაზრონ დაშვებული შეცდომები და დაგეგმონ აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები. სტუდენტები თავიანთი მიღწევების შესახებ ინფორმაციას იღებენ ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. სტუდენტური პორტალის მეშვეობით, მათ ასევე საშუალება აქვთ, დაუკავშირდნენ კურსის ლექტორს და მიიღონ რჩევები ხარვეზების გამოსწორების გზების შესახებ.

შემაჯამებელი პროექტი ფასდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს: ხელმძღვანელის შეფასებას - 30 ქულა, რეცენზენტის შეფასებას - 30 ქულა და პრეზენტაციას - 40 ქულა. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და/ან მოწვეული სპეციალისტები მონაწილეობენ პროექტების შეფასებაში, რაც სტუდენტთა მიღწევების სათანადო და კომპეტენტურ შეფასებას უზრუნველყოფს. პროექტების შეფასების პროცესში, კვალიფიკაციის დაცვის ეტაპზე, ასევე ჩართულნი არიან დამსაქმებლები. მცირედი შენიშვნის სახით, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია საბაკალავრო ნაშრომი, ხოლო პროგრამაში შემაჯამებელი ნაშრომი.

რაც შეეხება აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მკაფიო პოლიტიკა და დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენის სპეციალური პროგრამა - Turnitin. ასევე, შემუშავებულია, პროგრამის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული შესაბამისი რეგულაციები. კერძოდ, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი“, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, რომელიც ითვალისწინებს რეაგირების მექანიზმებს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში, საჩივრების კატეგორიებს, დარღვევის ფაქტის განმხილველ პირებს და ეთიკის კომისიის ფუნქციონირების წესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 17-19;
- ვიზიტის ფარგლებში თვითშეფასების ჯგუფთან, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (მომიჯნავე პროგრამა), პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 8 ოქტომბრის N 111 დადგენილება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“;
- 2018 წლის 20 თებერვლის #23 დადგენილება „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის #06-01/71 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ეთიკის კოდექსი;
- უნივერსიტეტში Turnitin - ის პროგრამის ადმინისტრირების წესი;
- სტუდენტის სახელმძღვანელო.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტები იღებენ ადეკვატურ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების და კარიერული განვითარების შესახებ, რომელსაც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და/ან დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. გარდა ამისა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ მრავალფეროვან სასწავლო პროცესში და მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისგან.

ადგილზე ვიზიტის დროს, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ სტუდენტები სწავლის სრული პერიოდის მანძილზე იღებენ უწყვეტ აკადემიურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კომუნიკაცია აკადემიურ პერსონალთან ხელმისაწვდომი და ეფექტურია, რაც მათ საშუალებას აძლევს, დროულად მიიღონ კონსულტაცია საგნების არჩევის, აკადემიური მოსწრების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ. მეგობრული გარემო უზრუნველყოფს მჭიდრო ურთიერთობას სტუდენტებსა და პროგრამის წარმომადგენლებს შორის.

სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია უნივერსიტეტის მხარდამჭერი მექანიზმების, პროცედურების და შეფასების გასაჩივრების პროცესის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტ სტუდენტებს პირადად არ გაუსაჩივრებიათ თავიანთი შეფასება, მათ დაადასტურეს, რომ ფლობდნენ ინფორმაციას მექანიზმის არსებობის, საჩივრის შეტანის და განხილვის პროცედურების შესახებ.

ინტერვიუების ფარგლებში გამოავლინდა, რომ სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების, გაცვლითი პროგრამების და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტ სტუდენტებს არ მიუღიათ მონაწილეობა მობილობის პროგრამებში, მათ დაადასტურეს, რომ ინფორმაცია აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ მუდმივად ვრცელდება და უნივერსიტეტის სტუდენტებს მიღებული აქვთ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში. აღნიშნული ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის ხელშემწყობი მექანიზმები.

სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს პროგრამაში პრაქტიკული სწავლის შესაძლებლობებს. მათ აღნიშნეს, რომ თეორიული კომპონენტის დასრულების შემდეგ, ეწყობა შესაბამისი პრაქტიკული აქტივობები,

რომლებიც მოიცავენ ვიზიტებს პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც სტუდენტები აკადემიური პერსონალისა და ინდუსტრიის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით, რეალურ გარემოში აკვირდებიან საინჟინრო პროცესებს. სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს, რომ ეს აქტივობები სასარგებლოა თეორიული ცოდნის პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირების და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, კარიერული განვითარების მხარდაჭერასთან დაკავშირებული მიგნებები. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ქართულენოვანი ანალოგის კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ, მათ შესთავაზეს დასაქმება შესაბამის პროფესიულ დაწესებულებებში, უნივერსიტეტის რეკომენდაციის და მხარდაჭერის საფუძველზე. ინტერვიუზე კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ დასაქმებულნი იყვნენ ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა მუნიციპალური ინსპექცია და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აჭარის რეგიონში, რაც ადასტურებს პროგრამის კავშირს პოტენციურ დამსაქმებლებთან და მის წვლილს კურსდამთავრებულთა დასაქმებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა არის ქართულენოვანი ინჟინერიის მოქმედი პროგრამის ახალი ინგლისურენოვანი ვერსია, სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს მისი საერთაშორისო კომპონენტი. მათი მოსაზრებით, ინგლისურენოვანი სწავლება მნიშვნელოვნად გაზრდის პროგრამის კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე, გააძლიერებს პროფესიული კომუნიკაციის უნარებს და დასაქმებას გლობალურ შრომის ბაზარზე. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო გამოცდილება მიმდინარე ეტაპზე შეზღუდულია და არაერთი შესაბამისი პოლიტიკა, რეგულაცია თუ სტუდენტებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია ჯერ კიდევ ინგლისურ ენაზე არ არის ხელმისაწვდომი.

ზოგადად, აკრედიტაციის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის აკადემიური, საინფორმაციო, პრაქტიკული და კარიერული მხარდაჭერის სერვისებს. სტუდენტები იღებენ ინფორმაციას არსებული შესაძლებლობების შესახებ, უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კონსულტაციებით და სარგებლობენ მხარდამჭერი და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოთი, რაც შესაბამისობაშია 3.1 კომპონენტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 20-22;
- ვიზიტის ფარგლებში საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (მომიჯნავე პროგრამა), პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- სტუდენტური პორტალი;
- სტუდენტის სახელმძღვანელო.

[რეკომენდაციები]

რეკომენდებულია, პროგრამის საერთაშორისო კომპონენტის გათვალისწინებით, შემუშავდეს საერთაშორისო სტუდენტების მიღების და მხარდაჭერის ინსტიტუციური მექანიზმები, ასევე, უზრუნველყოფილ იქნას ყველა შესაბამისი პოლიტიკის, რეგულაციის და სტუდენტებისთვის განკუთვნილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ინგლისურ ენაზე.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1_სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2_მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიურ თანამდებობებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეირჩევა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად, კონკურსის წესით, რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მეშვეობით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური (ხუთი პროფესორი, რვა ასოცირებული პროფესორი და სამი ასისტენტ-პროფესორი) და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. ისინი ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას, გამოცდილებას და კომპეტენციას, რომ უზრუნველყონ სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც გარკვეულწილად დასტურდება მათ მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებებით და გამოქვეყნებული ნაშრომებით. თუმცა, პირადი საქმეების შესწავლით გამოვლინდა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების საშუალო დონე. შესაბამისად, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პერსონალის კვლევითი პორტფოლიოს გაზრდის და მხარდაჭერის ადეკვატური პოლიტიკა.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფისთვის შემაშფოთებელია, ინგლისურ ენაზე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რეალური რაოდენობა. ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ შესაბამის დონეზე ინგლისური ენის მცოდნე მოწვეული ლექტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის რაოდენობას. იმის გათვალისწინებით, რომ მოწვეული ლექტორების უმრავლესობა თბილისში ცხოვრობს, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მდგრადობას საფრთხეს უქმნის დედაქალაქიდან ბათუმამდე რეგულარულ მგზავრობასთან დაკავშირებული პოტენციური შეფერხებები. არსებული მდგომარეობა (უნივერსიტეტის პერსონალი + მოწვეული ლექტორები) საკმარისი არ არის პროგრამის სათანადო განხორციელებისთვის. პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, რეკომენდებულია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალისთვის განსაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური დონე (C1 დონე, ენების სწავლების ევროპული საერთო კომპეტენციების ჩარჩოს მიხედვით) და დაუყოვნებლივ შეიმუშაოს შესაბამისი პერსონალის რეკრუტირების გეგმა.

ასევე, ფიქსირდება შეუსაბამობა ცხრილში „სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსების მიხედვით“ მითითებულ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და ცხრილში „ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ“ მითითებული პროფესორების და ასოცირებული პროფესორების რაოდენობას შორის.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, განისაზღვრება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვა, სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფებში, რომლის საფუძველზეც, კატეგორიების მიხედვით, დგინდება აკადემიური პერსონალის სავალდებულო წლიური დატვირთვა. თუმცა, გაურკვეველია, ითვალისწინებს თუ არა აღნიშნული დატვირთვა სტუდენტების საკონსულტაციო საათებს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სწავლის შედეგების რადენობრივ მაჩვენებლებზე დაფუძნებული შეფასების მკაფიო სისტემა.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამა მხარდაჭერილია ფაკულტეტის ადმინისტრაციის (ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი) და დამხმარე პერსონალის (დეკანატის და დარგობრივი დეპარტამენტების სპეციალისტები, ბიბლიოთეკარი) მიერ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა. მონაცემები გაერთიანებულია ხელმისაწვდომი, ფრაგმენტულად წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე (გამოტოვებული ავტობიოგრაფიები ან ინფორმაცია). შესაბამისად, შესაძლოა ზუსტად არ იყოს ასახული დარგობრივი გამოცდილების და დოქტორის ხარისხის მქონე პირების რაოდენობა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[7]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[8]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**16**	**10**	**10**	**15**
- პროფესორი	6			6

[7] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[8] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასოცირებული პროფესორი	7			6
- ასისტენტ-პროფესორი	3			3
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	14	8	3	_
სამეცნიერო პერსონალი				_
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი				

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 24-25;
- ვიზიტის ფარგლებში რექტორთან, ვიცე-რექტორებთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ჩატარებული ინტერვიუები;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის დაქირავების წესი;
- ტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულება - აკადემიური პერსონალის ფუნქციები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი, სასწავლო კურსების, აკადემიური სტატუსის, სამეცნიერო ხარისხის და კვალიფიკაციის სფეროს მითითებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები.

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პერსონალის კვლევითი პორტფოლიოს გაზრდის და მხარდაჭერის ადეკვატური პოლიტიკა.
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალისთვის განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური დონე (C1 დონე, ენების სწავლების ევროპული საერთო კომპეტენციების ჩარჩოს შესაბამისად) და შემუშავდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რეკრუტირების გეგმა, ინგლისური ენის მცოდნე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის და სასწავლო პროცესის მდგრადობის მიზნით.
- რეკომენდებულია, პერსონალის დატვირთვაში მკაფიოდ აისახოს სტუდენტთა საკონსულტაციო საათები.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

სასურველია, გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებულ ცხრილებს „სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სასწავლო კურსების მიხედვით“ და „ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ “ შორის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ფოკუსირებულია აკადემიური პერსონალის შეფასებასა და მხარდაჭერაზე. სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების გაუმჯობესება. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ ხელს უწყობს პერსონალის შეფასებას და პროფესიულ განვითარებას, საგანმანათლებლო რესურსების და სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას და სწავლების და კვლევის ინტერნაციონალიზაციას, რაც დადებითად ფასდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შემუშავებულია შესაბამისი პროცედურები. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“ განსაზღვრავს პერსონალის ჩართულობის შეფასებას პედაგოგიურ, სამეცნიერო და უნივერსიტეტის სხვა აქტივობებში. აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის შერჩევის წესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული მიზნით, უსდ ხელს უწყობს მათ მონაწილეობას შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების ან არასამთავრობო საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და ღონისძიებებში, სპეციალური კურსების გავლაში და ა.შ.

სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 15 წევრი აფილირებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. აღნიშნული პირები აქვეყნებენ ნაშრომებს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში, ტრენინგებში და პროექტებში. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ზოგჯერ მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, ძირითადად საგანმანათლებლო, ხოლო იშვიათად კვლევით პროექტებში. ბოლო წლებში (2023-2026) აღნიშნული პროექტები საკმაოდ შეზღუდული იყო (Green Engine; Digital Challenge-Driven Energy Learning Collaboration Between Europe and AGM და LISS24, ყველა - EU-EDU-CBHE პროექტები). რეკომენდებულია, უნივერსიტეტში შეიქმნას საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც

დაეხმარება აკადემიურ პერსონალს მოამზადონ კონკურენტუნარიანი საგრანტო განაცხადები და გააუმჯობესებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართულობას საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით პროექტებში.
უნივერსიტეტს ფაკულტეტების მიხედვით გამოყოფილი აქვს ფინანსები აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის განვითარებისთვის, რომლითაც ფინანსდება კონფერენციებში, სემინარებში, კონგრესებში, ფორუმებში და სხვა მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 26-28;
- ვიზიტის ფარგლებში თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ჩატარებული ინტერვიუები;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- მიზნობრივი კვლევითი პროექტების კონკურსის დებულება;
- პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიების გამოქვეყნების წახალისების წესი;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წახალისება გამოქვეყნებული სტატიებისთვის;
- აკადემიური პერსონალის ენობრივი კომპეტენციის განვითარების მხარდაჭერა - სერტიფიცირებული ინგლისური ენის კურსები;
- საზაფხულო/საზამთრო სკოლების ჩატარების წესი;
- აკადემიური პერსონალის დაქირავების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პორტალი;
- ტრენინგ კურსები პროფესორებისთის;
- აკადემიური პერსონალის წახალისების ბრძანებები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასების სისტემა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება და ტრენინგების ჩატარების ხელშეწყობა.

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის დახმარების გაწევა კონკურენტული საგრანტო განაცხადების მომზადებაში და საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით პროექტებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართულობა თანამშრომლებისთვის უფრო თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი გახადოს.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორები უზრუნველყოფილი არიან კარგად აღჭურვილი ბიბლიოთეკით, შესაბამისი ინვენტარით, წიგნადი ფონდით, სამეცნიერო პერიოდიკით და ელექტრონული ბიბლიოთეკის რესურსებით, მათ შორის EBSCO Publishing, Cambridge University Press, Royal Society Journals Collection და BioOne - ით.
პროგრამა ხორციელდება ინჟინერიის და მშენებლობის, და ტექნოლოგიების და ინჟინერიის მენეჯმენტის დეპარტამენტების მიერ. პრაქტიკული მომზადებისათვის ხელმისაწვდომია რამდენიმე ლაბორატორია, კერძოდ: სამშენებლო მასალების და სამშენებლო კონსტრუქციების ლაბორატორია, მასალების გამძლეობის, გრუნტის მექანიკის, საძირკვლების ლაბორატორია, ელექტროინჟინერიის ლაბორატორია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ასევე, კომპიუტერული აუდიტორიები. ტექნოლოგიის ფაკულტეტზე ფუქციონირებს FABLAB - ი, რომელიც აღჭურვილია საინჟინრო კონსტრუქციების და ნაგებობების მოდელირების, მაკეტირების და დეტალიზაციის ისეთი აღჭურვილობით, როგორიცაა 3D პრინტერები და პლოტერები. ლაბორატორიული და ექსპერიმენტული სამუშაოებისთვის ფაკულტეტი აქტიურად იყენებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ექსპერიმენტულ სახელოსნოს, რომელიც აღჭურვილია საფრეზი, საჩარხი, საფქვავი დანადგარებით და შედუღების აპარატურით.
ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ინოვაციების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს. იგი დაარსდა Erasmus+ საგრანტო პროექტის „InnoCENS Project“ - Enhancing Innovation Competences and Entrepreneurial Skills in Engineering Education - ფარგლებში.
ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა, ბიბლიოთეკა და სასწავლო პროცესისათვის საჭირო აუდიტორიები. უნივერსიტეტი ზოგადად მზადაა ახალი საბაკალავრო პროგრამის განსახორციელებლად. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს შენობა-ნაგებობების ვენტილაციაზე და უზრუნველყოფილ იქნას არსებული კლიმატური ფაქტორებით გამოწვეული მომატებული ტენიანობისგან დაცვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 29-30;
- ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელთან, ბიბლიოთეკართან და სხვა ტექნიკურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- მემორანდუმები;

- FABLAB-ის ვებ - გვერდი;
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- ელექტრონული წიგნები.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, მეტი ყურადღება გამახვილდეს საგანმანათლებლო პროცესისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ვენტილაციაზე და უზრუნველყოფილ იქნას არსებული კლიმატური ფაქტორებით გამოწვეული მომატებული ტენიანობისგან დაცვა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამოქალაქო ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ერთიანი საბიუჯეტო სისტემის მეშვეობით. ვინაიდან პროგრამა ჯერ არ არის აკრედიტებული და სწავლის საფასური ჯერ არ არის დადასტურებული, პროგრამის ფინანსური პროგნოზები ეფუძნება შესაბამის პრინციპებს: ხარჯების პრიორიტეტიზაცია, შემოსავლების პროგნოზირება და უნივერსიტეტის სუბსიდირების მექანიზმები. ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ პროგრამა სრულად მხარდაჭერილია დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ და მისი დაფინანსება უზრუნველყოფილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 30-31;
- ვიზიტის ფარგლებში რექტორთან, ვიცე-რექტორებთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი;

- უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური დეპარტამენტის დებულება.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს და მექანიზმებს კოორდინირებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებას და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას. გარდა ამისა, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარების რეგულაციები და ჩარჩო დოკუმენტი (https://bsu.edu.ge/sub-27/laws/2/index.html?lang=ge).
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტურ განხორციელებას, გაუმჯობესებას და პროგრამების მონიტორინგს კოორდინაციას უწევენ როგორც უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურები, ისე დეპარტამენტების კოორდინატორები. პროგრამების შემუშავების, შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმებს არეგულირებს უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების და გაუმჯობესების წესი“. სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ პროგრამის ხელმძღვანელებს, განმახორციელებელ პერსონალს, ფაკულტეტის დეკანს, დეპარტამენტ(ებ)ის ხელმძღვანელს, კოორდინატორს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტურობის, სანდოობის და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების საფუძველზე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: ა) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, ბ) დაინტერესებული მხარეების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარების პროცესში, გ) პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, დ) სასწავლო რესურსების და სერვისების ხარისხის გაუმჯობესება, ე) სწავლების და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, ვ) პერიოდული და ეფექტური მონიტორინგის, შეფასების და რეაგირების სისტემის გაუმჯობესება.

ზემოაღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს სახელმძღვანელოები აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შესაფასებლად. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოიყენება შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმები, რომლებიც ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, შეფასებას და უწყვეტ განვითარებას, კვლევითი პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურას, სტუდენტების აკადემიური მოსწრების, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებელთა უკუკავშირის და შრომის ბაზრის ტენდენციების მონიტორინგს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით და ეფუძნება ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ურთიერთდაკავშირებულ ძირითად ელემენტს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და გაუმჯობესებას (PDCA ციკლი). PDCA ციკლის მიდგომები დანერგილია უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების დონეზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს ანგარიშს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობის განხორციელების შესახებ. რექტორის ანგარიშის შემუშავება ხორციელდება ყოველწლიურად.

პროგრამა შემუშავებულია განმახორციელებელი პერსონალის და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით (2024 წლის 14 თებერვლის დადგენილება #06-01/19) ტექნოლოგიური ფაკულტეტის სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში შედიოდნენ პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. პროგრამის ხელმძღვანელი და თვითშეფასების ჯგუფი თანამშრომლობდნენ საერთაშორისო ექსპერტებთან (ABET). სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების და განხილვის სამუშაო გეგმა.

თვითშეფასების ჯგუფი პერიოდულად აწყობდა შეხვედრებს, სადაც განიხილებოდა სტანდარტების მოთხოვნების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, გარე შემფასებლების და ABET ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად დაგეგმილი აქტივობები. ასევე, ჯგუფი განიხილავდა

და ითვალისწინებდა შიდა და გარე შეფასების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებს. სამუშაო ჯგუფმა მოამზადა საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი სილაბუსები და აკრედიტაციისთვის აუცილებელი დამატებითი მასალა, მათ შორის თვითშეფასების ანგარიში. მომზადებული დოკუმენტები განსახილველად წარედგინა სასწავლო გეგმების კომიტეტს, რომელმაც შეისწავლა წარმოდგენილი მასალები. სამუშაო ჯგუფის და სასწავლო გეგმების კომიტეტის მუშაობას კოორდინაციას უწევდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა მიღებული რეკომენდაციები და კომენტარები, დაამუშავა მიღებული ინფორმაცია და ასახა თვითშეფასების ანგარიშში.

ზოგადად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონსულტაციას უწევს ფაკულტეტს, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის პერსონალთან, სთავაზობს მათ ინტენსიურ კონსულტაციებს და ტრენინგებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და ხარისხის კულტურის შესახებ. ჩატარდა კონსულტაციები პროგრამების ხელმძღვანელებისთვის და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისთვის. პერსონალი ასევე ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და მოდიფიცირების პროცესში. უნივერსიტეტი ახორციელებს პერსონალის გამოკითხვას, მათი განვითარების და ტრენინგის საჭიროებების გამოვლენის მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს/სამუშაო ჯგუფს/სასწავლო გეგმების კომიტეტს აკისრიათ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შეფასების პასუხისმგებლობა. არსებობს თანამშრომლობა ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებს და თვითშეფასების ჯგუფის/სამუშაო ჯგუფის/სასწავლო გეგმების კომიტეტის წარმომადგენლებს შორის, ისევე როგორც მრავალკომპონენტიანი და მრავალდონიანი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. მიუხედავად ამისა, თვითშეფასების პროცესის შედეგად, საგანმანათლებლო პროგრამაში გამოვლენილი გარკვეული ხარვეზები კვლავ გამოწვევად რჩება (დეტალები იხილეთ 1.4 კომპონენტის აღწერაში). რეკომენდებულია, უნივერსიტეტში გაძლიერდეს ხარისხის კულტურა დაინტერესებულ მხარეებთან არსებული მექანიზმების გაზიარებით და არსებული წესების დანერგვით, რაც ხელს შეუწყობს თვითშეფასების პროცესში გამოწვევების გამოვლენასა და პრევენციას.

2021 წლის ოქტომბერში, COVID-19 პანდემიის პერიოდში, ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგის და შეფასების მიზნით, უნივერსიტეტმა დაამტკიცა ელექტრონული/დისტანციური სწავლების განხორციელების და დისტანციურ/ელექტრონულ/ჰიბრიდულ სასწავლო პროცესზე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მორგების რეგულაციები. გარდა ამისა, ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგის და შეფასების მიზნით, უნივერსიტეტმა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაითვალისწინა დისტანციური სწავლების ხარისხის შეფასების კითხვარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 32-35;
- ვიზიტის ფარგლებში თვითშეფასების ჯგუფთან, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (მომიჯნავე პროგრამა), პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ - გვერდი https://www.bsu.edu.ge/sub-27/news/index.html?lang=ge;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა;
- ბრძანება თვითშეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ;
- შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგების ანალიზი;
- ორი ადგილობრივი ექსპერტის/სპეციალისტის გარე შეფასებები;
- დამსაქმებლებთან პროგრამის განხილვის დოკუმენტები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიში (მსგავსი პროგრამები);
- ადმინისტრაციული პერსონალის ინდივიდუალური შეფასების წესი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- შედარებითი ანალიზი ანალოგიურ პროგრამებთან/ბენჩმარკინგი;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ელექტრონული დისტანციური სწავლების რეგულაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები

რეკომენდებულია, უნივერსიტეტში გაძლიერდეს ხარისხის კულტურა დაინტერესებულ მხარეებთან არსებული მექანიზმების გაზიარებით და არსებული წესების სრულად დანერგვით, რაც ხელს შეუწყობს თვითშეფასების პროცესში გამოწვევების გამოვლენასა და პრევენციას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებია ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესები. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გარე შეფასების მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.
უნივერსიტეტი თვითშეფასების ანგარიშის ფორმით პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დადგენილი ვადების და ფორმების შესაბამისად. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი ითვალისწინებს ავტორიზაციის და აკრედიტაციის ფარგლებში ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს შესაბამის ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში. პროგრამების ცვლილებები განიხილება პროგრამების ხელმძღვანელების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ.
სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალი. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. გამოყენებულ იქნა ორი ადგილობრივი ექსპერტის (საქართველოს ეროვნული სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი) გარე კოლეგიური შეფასებები.
პროგრამის გარე შეფასების პროცესში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები აშშ-ის ABET - ის ორგანიზაციიდან. პროგრამის შემუშავებამდე, პროგრამის ხელმძღვანელმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ არაერთხელ გაიარეს მათთან კონსულტაცია 2024-2025 წლებში Zoom - ის პლატფორმის გამოყენებით.
უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის პერიოდული გარე შეფასება ხორციელდება კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით. გათვალისწინებულ იქნა დარგის პროფესიონალების, პარტნიორების და სხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. ასევე გათვალისწინებულ იქნა დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 35-36;
- ვიზიტის ფარგლებში თვითშეფასების ჯგუფთან, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (მომიჯნავე პროგრამა), პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული გასაუბრებები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ორი ადგილობრივი ექსპერტის/სპეციალისტის გარე შეფასებები;
- დამსაქმებლებთან პროგრამის განხილვის დოკუმენტები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტურ განხორციელებას, უწყვეტ განვითარებას და მონიტორინგს კოორდინირებენ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და დეპარტამენტების კოორდინატორები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევითი აქტივობების ინფორმაციულ და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური. ვინაიდან პროგრამა ახალია, ჯერ არ გამოყენებულა მონიტორინგის ყველა ინსტრუმენტი. ზოგადად, პროგრამის უწყვეტი მონიტორინგის პროცესში ჩართულია ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული და პროგრამის ხელმძღვანელი. პროცესს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის რეგულაციების და მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად. ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებით აკვირდება საგანმანათლებლო პროცესს. მონიტორინგის პროცესში გამოიყენება რამდენიმე მეთოდი, კერძოდ: ლექციებზე დასწრება/დაკვირვება, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასება, გამოცდების ზედამხედველობა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმი სისტემურია, კომპლექსურია და ფოკუსირებულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგებზე. უნივერსიტეტი აანალიზებს სტუდენტების აკადემიურ მიღწევებს/მოსწრებას. სასწავლო კურსების შესაფასებლად უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტების კმაყოფილების კვლევას ელექტრონული სისტემის გამოყენებით - „სტუდენტთა პორტალი - portal.bsu.edu.ge“ - ყოველ სემესტრში, რომელიც მოიცავს თითოეული სასწავლო კურსის დეტალურ შეფასებას და შედეგებს უკუკავშირის სახით აწვდის სპროფესორ-მასწავლებლებს სასწავლო კურსის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესდა და უფრო მრავალფუნქციური გახდა სტუდენტების პორტალი, რაც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საშუალებას აძლევს განახორციელოს საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი და სისტემატურად შეაგროვოს საჭირო მონაცემები.

მონიტორინგის პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპების განხორციელების მექანიზმებს: ა) სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შეფასების და გაუმჯობესების პროცედურები, ბ) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცედურები, გ) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების და განვითარების პროცედურები დ) სასწავლო რესურსების, სერვისების

შეფასების და გაუმჯობესების პროცედურები, ე) სწავლის, სწავლების და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროცედურები, ვ) პერიოდული კვლევების ჩატარება და რეკომენდაციების შემუშავება. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულირდება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“.

საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებას. უნივერსიტეტი აანალიზებს აკადემიური/მოწვეული/კვლევითი პერსონალის და სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვების/ფოკუს-ჯგუფების შედეგებს. აღნიშნულის შემდგომ, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი გამოიყენება სასწავლო გეგმის და საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტების გადახედვის და გაუმჯობესების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის შეფასების შემდეგ შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ზემოაღნიშნული შეფასების შედეგები განიხილება და მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე. რეკომენდაციები განსახორციელებლად ეგზავნება უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს.

პროგრამის მონიტორინგის და შეფასების ფარგლებში, უნივერსიტეტი ასევე აფასებს სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით, პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, აანალიზებენ და იყენებენ შეფასების მეთოდებს, რომლებიც აჩვენებენ სტუდენტების მიერ მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის დონეს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად, ხორციელდება დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების უკუკავშირის და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი და შეფასება, ასევე, პროგრამების შედარება საქართველოს და უცხოეთის ანალოგიურ პროგრამებთან, რაც შემდგომში აღწერილია შესაბამის ანგარიშში. აღნიშნული ანგარიში ქვეყნდება საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში. პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მიმდინარეობის წლიურ ანგარიშს. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში, რომელიც ასევე მოიცავს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს.

სტუდენტების გამოკითხვების დამუშავების და აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ სისტემას. აღნიშნული ელექტრონული პლატფორმა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების და აკადემიური პერსონალის შეფასების ძირითად ინსტრუმენტს. კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვებიც ხორციელდება ამავე ელექტრონული სისტემის გამოყენებით. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილ გამოკითხვებს სტუდენტების პორტალის მეშვეობით ახორციელებს სტუდენტების კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი.

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს აკადემიური პერსონალის შეფასების პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პედაგოგიურ, სამეცნიერო და უნივერსიტეტის სხვა აქტივობებში მათი ჩართულობის შეფასებას. შეფასებების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცესში. შიდა ხარისხის შეფასება ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. პერსონალის შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამეცნიერო - კვლევითი ნაშრომების საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებას. უნივერსიტეტი ასევე აფასებს ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობას.

სასწავლო პროცესის შეფასება საგნების დონეზე მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასებას. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს წვდომა გამოკითხვის

შედეგებზე და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია განახორციელოს ცვლილებები სასწავლო კურსის კომპონენტებში, რომლებმაც სტუდენტებისგან მიიღეს დაბალი შეფასება.
ფაკულტეტი პერიოდულად აწყობს საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაციებს დამსაქმებლების, სტუდენტების და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება მათი მოსაზრებები. შეხვედრების დროს, ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის საწარმოების მოთხოვნების საფუძველზე, იგეგმება საწარმოო პრაქტიკა მათი უშუალო მონაწილეობით.
ჩატარდა ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი ქართულ და უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების/შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი უნივერსიტეტების გამოცდილება და ანალოგიური პროგრამები. შესაბამისად, შემუშავდა შედარებითი ანალიზის დოკუმენტი.
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება ხორციელდება ძირითადი შესრულების მაჩვენებლების (KPI), 360-გრადუსიანი უკუკავშირის და პროცესის ეფექტურობის ანალიზის მონიტორინგის საფუძველზე, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის დაქირავების წესის“ და „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის ეფექტურობის მონიტორინგის წესის“ შესაბამისად. თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის განსაზღვრულია სპეციფიკური ინდიკატორები, რომლებიც ასახავენ მათი საქმიანობის უნიკალურ ასპექტებს. ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური კოორდინაციას უწევს აღნიშნული ინდიკატორების მონიტორინგს და უზრუნველყოფს მონაცემების გაერთიანებას ერთიან ანალიტიკურ სისტემაში.
ზემოაღნიშნული კომპლექსური კვლევის შედეგების და ინდიკატორების ანალიზზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტურობას და პროგრამის პერსონალს სთავაზობს რეკომენდაციებს და რჩევებს საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, გვ. 36-39;
- ვიზიტის ფარგლებში თვითშეფასების ჯგუფთან, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (მომიჯნავე პროგრამა), პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ - გვერდი https://www.bsu.edu.ge/sub-27/news/index.html?lang=ge;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა;
- ბრძანება თვითშეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ;
- შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგების ანალიზი;
- ორი ადგილობრივი ექსპერტის/სპეციალისტის გარე შეფასებები;
- დამსაქმებლებთან პროგრამის განხილვის დოკუმენტები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიში (მსგავსი პროგრამები);
- ადმინისტრაციული პერსონალის ინდივიდუალური შეფასების წესი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;

- შედარებითი ანალიზი ანალოგიურ პროგრამებთან/ბენჩმარკინგი;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ელექტრონული დისტანციური სწავლების დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სტუდენტების პორტალი.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ფილიპე ბოილარდი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

გიორგი წანაწყენიშვილი

ბელა თინიკაშვილი

ია ნაცვლიშვილი

გიზო უჩაიძე